№ 166 აგვისტო 6, სამშაბათი 1891 აგვისტო 6, სამშაბათი № 166

გაზეთი ღირს

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

ივერია

1877—1891 საპოლიტიკო და საალიტერატურო გაზეთი 1877—1891

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავშვალის ქუჩაზედ, ვარანცოვის მეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების განყოფილებასა, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

დღესასწაულის გამო შემდეგი ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 8 აგვისტოს.

გაზეთი „ივერია“ 1-ლ აგვისტოდამ წლის დამლეგამდე ღირს 5 მან. 50 კაპ.

მისაღები ეგზამენები და ხელ-მეორედ დანიშნული ეგზამენები ყველა საგანში ანასტასიას დედათა პროგიმნაზიის შეგირდებისათვის გორში დაიწყება 31 აგვისტოს, დილის 9 საათზე.თ (3—3)

სასოფლო მეურნეობის სოფ. წინამძღვრიანთ-კარის სასწავლებლისთვის **ორი მასწავლებელია საჭირო,** კურს დამთავრებული სამასწავლებელო ინსტიტუტში, ანუ უმაღლეს სასწავლებელში. მასწავლებელს წელიწადში სამოცი თუმანი ექმნება, ორი ოთახი, თავისის დერეფნით, სამზარეულო და სარდაფი. ერთმა იმათგანმა სკოლის ხოროს ლოტბარობა უნდა გაუწიოს. ვისაც ჰსურს, ამ სკოლას ეესახუროს, უნდა მზრუნველს სკოლისას პირად მიართოს თხოვნა, თავისის ატესტატით.

მზრუნველი სკოლისა სცხოვრობს ქ. ტფილისში, ელისაბედის ქუჩაზე, № 86. (5—4)

ახალი ამბავი

*** გორი: ყოველი ქართველი დიდად შეგვაწუხა თ. მამიას გარდაცვალებამ; ამ მოულოდნელმა ამბავმა ელდასავით მოიცვა ყველა ჩვენგანი: არავის სჯეროდა მისი უდროოდ გარდაცვალების ამბავი, მაგრამ, როდესაც გაზეთებში დაწერილებით დაბეჭდა მისის გარდაცვალებისა და დასაფლავების შესახებ ცნობანი, მაშინ, მეტი ღონე არ იყო, უნდა დაგეჯერებია. დიაღ, გონებას სჯერა, მაგრამ გული უარს არის, გული ვერ იმეტებს სასიკვდილოდ სახელოვანს ავტორს „ალაევერდისას“: ისე ღრმა იყო მისი პოეზია, ისეთი მძლავრი იყო მისი სიტყვა, რომ ჩვენს გულს იგი ერთობ ღრმად აჭდევია და ეჭდევა კიდევაც, ვინემ გული საგულეს გვექნება. როდესაც ასეთი მძლავრი კაცები იხოცებიან, მათი სიკვდილი გულს არ ეჯერება, გული მათ ვერ იმეტებს, რჩებიან იგინი ჩვენთან ამიერ უკუნისამდე. ეს არის კიდეც უკვდავება კაცისა! ეს ჩვენი გული არის უკვდავი ძეგლი მამიასი და მისთანათა.

დღეს, ამ თთვის 4-ს, მისი ნიჭისა და პოეზიის პატივის-მცემელნი შეიყარნენ გორის ოქონის ეკკლესიაში და გადაუხადეს პანაშვიდი; პანაშვიდზედ საკმაოდ ბლომად დაესწრო ხალხი; პანაშვიდის შემდეგ შემდეგი გლოვის დებეშა მისწერეს მამიას პატივის-მცემელთა თ. ჯაბა გურიელს ქ. ქუთაისში: გარდახადეს რა დღეს პანაშვიდი, პატივის მცემელნი ნიჭისა „ალაევერდის“ დიდებულის ავტორის თავადის მამიასი, ღრმად მოწყლულნი შეუნაცვლებელის დაკარგვით მთელის საქართველოსათვის ძვირფასის პოეტისა, უერთებენ თვისს მწუხარებას თქვენსას და ქუთაისელებისას ჭ თქვენთან ერთად ჰგლოვობენ მოულოდნელს თვითეულის ქართველისათვის უბედურებასა“.

საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, ძვირფასო პოეტო და დიდებულო მამულის მოყვარე მამავ!

*** ხაშური: 4 აგვისტოს ხაშურში მცხოვრებმა რკინის გზის მოსამსახურე ქართველებმა მოიწვიეს აქაური მღვდელი მამა მათე ხუციშვილი, რომელმაც ხაშურის წმიდა მარინეს ეკლესიაში გადიხადა პანაშვიდი ახლად გარდაცვლებულის ჩვენის პოეტის მამია გურიელის სულის მოსახსენებლად. ჩვენის საყვარელის პოეტის სიკვდილმა დიდად შეაწუხა და დაღონა ჩვენი ხაშურის ქართველობა და პანაშვიდზედაც ბლომად დაესწრენ. ბ-ნმა იოსებ ფანცულაიამ და გიგო გოგელიკურიშვილმა მოკლე სიტყვებით გააცნეს აქ მყოფ, ქართველებს, ვინც იყო აწ გარდაცვალებული თავადი მამია...

*** ჩვენ მივიღეთ ნესტორ ალმასხანის ძის გრიგოლიას მიერ შეკრებილი 49 მანეთ—24 მან. 50 კ. დ. ზ. ბაქრაძის ფონდისათვის და 24 მ. 50 კ. წინამძღვარიანთ-კარის სკოლის სასარგებლოდ. დ. ზ. ბაქრაძის ფონდისა აქნობამდე გვქონდა 1745 მ. 79 კ. ამიანად შესდგა 1770 მან. 29 კაპ.

*** ჭიათურის რკინის გზის გაყვანას, როგორც ამბობენ, შემოდგომაზედ, გიორგობის თთვეში, დაიწყებენ.

*** დღეს აბასთუმნიდან ტფილისში დაბრუნდებიან ტფილისის გუბერნატორი თავ. შერვაშიძე და მისი უმაღლესობა პრინცი ლუი ნიპოლეონი.

*** სპარსეთის ელჩი ასადულა-ხან ნაზიმ უდ დოულე კვირას, ამ თთვის 4, ბათუმში გაეგზავნა და თან გაჰყვა ტფილისის ელჩი მირზა რიზა ხანი. ასადულა ხანი ოჯახობით გამგზავრება სტამბოლში, სადაც ელჩად არის დანიშნული.

*** ეს ოთხიოდე დღეა, რაც რუსეთის ფოსტა აღარ მოსულა ტფილისში, რადგანაც საქართველოს სამხედრო გზა დარიალის ხეობაში ნიაღვარმა გააფუჭა და ეტლების მიმოსვლა შეუძლებელი გახდა. ამის გამო რუსეთიდგან მოსული ფოსტა რჩებოდა კავკაზში. ეხლა, როგორც შეიტყეთ, კავკაზში შეკრებილს ფოსტას ბათუმზე წამოიღებენ და ამ თთვის 7—8 ტფილისშიც მოვა.

*** მომავალის სეზონისათვის თიოტმის უკვე შეუდგენიათ დრამატიული დასი. ამ საგნისათვის „ტფილისის საარტისტო საზოგადოებამ“ ბ-ნი ფორკატი გაგზავნა მოსკოვში. ეხლა როგორც „კავკაზი“ იუწყება, ფორკატი მომეტებულს ნაწილს არტისტებისას უკვე პირობით შეჰკერია და ნიჟნი-ნოვგოროდში გამგზავრებულა, რომ ორიოდ-სამი არტისტი იქიდამაც მოიწვიოს. სხვათა შორის უნდა მოიწვიონ და მოლაპარაკებაც გამართეს პეტერბურგის საიმპერატორო თეატრის არტისტს ნილსკისთან.

*** ერკეთი და სურება. ამ ორს საზოგადებას უგზობა ძლიერ გვაწუხებს, მაგრამ ამას იქით იქნება გვეშველოს რამე: ამას წინად მაზრის უფროსი მოვიდა და ხალხს გამოუცხადა, რომ, ერკეთის ეკკლესია უნდა აშენდეს და გზებიც უნდა გაკეთდესო. ამასთანავე საზოგადოება მამასახლისისა და სოფლის მწერლის მეთაურობით სცდილობს სკოლის გამართვასაც. იმედია მაზრის უფროსი ჩახატაურის გზასაც მიაქცევს ყურადღებას. ეს გზა ისე გაფუჭებულია, რომ ეტლებით სიარული მეტის მეტად გასაჭირი და ძნელია.

*** კავკავის გზის სხვა-და-სხვა სადგურიდგან დეპეშით იუწყებიან შემდეგს: „სადგურს ლარსსა და გულეთს შუა გზის გაკეთებას ერთს თთვეზე მეტი მოუნდებიანო და ამიტომ ინჟენერი გურჩინი გაფუჭებულ გზის გაკეთებას გულეთში ფიცრის ხიდების გაკეთებას ამჯობინებს. ყაზბეგის ხიდის ბურჯი წამხდარი აღმოჩნდა და ზედ გაევლა შეუძლებელია. ინჟენერს სოკოლოვსკის სთხოვენ დეპეშით, რომ მეორე მხრიდგან შეამაგროს როგორმე ხიდი. იმედი აქვთ, რომ ორის კვირის განმავლობაში მოასწრობენ ბილიკის გაკეთებას. ფოსტის გზის გაკეთება ერთ თთვემდე ყოვლად შეუძლებელია. არშეთის სიმაგრე ნიაღვარს მოუგლეჯია და წაუღია. ინჟენერის იარაღი და გზის

ფელეტონი

ბრალდებული მჰედელი

ფრანსუა კოპპესი

ჩემი სათქმელი დიდი არ არის, არ მოგიყვებით ლაპარაკს მრავალს, თუმც ვეცდები და წვლილად გიამბობთ ამ ჩემს უბედურს თავ-გადასავალს.

წარსულს ზამთარში ჩვენმა მჭედლებმა აღთქვეს ერთ-ხმადა და შეჰკრეს პირი: ნუ ვიმუშავებთ, ხელსაც ნუ გავძრავთ, რაც უნდ მოგვადგეს კარს გასაჭირი.

ის ზამთარი-კი, მოგეხსენებათ, სასტიკი იყო და სუსხიანი; შიმშილ-სიცივემ ერთობ დასჩაგრა, გაათახსირა ყველა ჩვენგანი.

აი, შაბათს დღეს, როცა იმ კვირის ნამუშავარი გადმოგვითვალეს, მოხუცებულმა და უფროსებმა განზედ გამიხმეს და დამავალეს:—

იმათს სახელს-კი ვერა, ვერ გეტყვით, სანამ ზედ მებმის თავი ჯიღარა!—„კარგად ჰხედავო, მეტის ატანა, მეტის მოთმენა ძალ-გვიძს აღარა.

„თუ მოგვიმატეს ფული, ხომ კარგი, თუ არა, აღვსთქვათ, არ ვიმუშაოთ... ბიძია პავლევ, უფროსი გვყეფხართ და ეს საქმეც თქვენ უნდა ითათოთ.

„წადით, ჰნახეთ და დაუფარავად გამოუცხადეთ პატრონს ქარხნისას: ან მოგვიმატეთ, ან თუ არა-და, აღარ ვაკეთებთ საქმეს-თქო სხვისას“.

„თქვენი ნებაა-მეთქი, ვუთხარი: თავს არ დავზოგავ, არ დაგზარდებით, ამხანაგისთვის ყველას ვიტვირთებ, თუ შევიძლებ და გამოგადგებით“...

ბატონო ჩემო! ჩემს სიცოცხლეში ჩხუბი არ ვიცი, აურზაური... გაპირვებულს-კი ვინ ეტყვის უარს, თუ მოძმე არის და შინაური?!.

წავედი. ქარხნის პატრონი ჩვენი ოჯდა და სადილს შეეკეოდა; ვუთხარ, ავუხსენ ჩვენი ნაღველი,—დარდს კაცი ან სად გაექცეოდა:

„დაგვიდგა მეტად მკაცრი ზამთარი, გაძვირდა-მეთქი სულ ყველაფერი, ჯამაგირი-კი იმად თუ გვყოფნის, რომ გამოვიძღოთ კუჭი მშიერი...

„ველარ მოვითმენთ... დღე-დღე ჰმატულობს ორად და სამად თქვენი მოგება... ჩვენც გვიწყალობეთ ორიორდ გროში, ცოდვა არ არის, კიდეც გვერგება“... ის თხილს ამტვრევდა და არხეინად ღვინოსაც ხოლმე დაყოლებდა; მისმენდა დინჯად გაჩუმებული და მის წინ მდგომს თვალს არ მაშორებდა.

ბოლოს-კი მითხრა: „ჩემო ძმაოვ, პატიოსანი და ჭკვიანი ხარ; არც ის ყოფილა სულელი კაცი, ვისაც რომ შენ აქ მოუგზავნიხარ.

„ამასაც გეტყვი, ჩემს ქარხანაში ბინა ყოველთვის გეგულებოდეს, შენს ამხანაგებს ცალს ფულსაც-კი მეტს არ მივცემ, რაც უნდ გამჭირებოდეს.

„სულ შევაყენებ ჩემსა ქარხანას, თუნდა ზარალი მექმნას ფრიადი... მაგათ-კი, ზარმაცთ, როგორც ენებოთ, ისე მოიქცნენ. ახლა-კი წადი“.

თავ-ჩაღუნულმა, ზარ-დაცემულმა წავედე მოძმეთ პასუხი მწარე... ასტყდა ჩოჩქოლი, დრტვინვა, ჩივილი, და გაისმა ხმა რისხვით მქუხარე:

„ეგ იყოს და ეგ, აღარ წავიდეთ, მოვრჩეთ მის მუნათს, იმის ყველფრებას!..“

შეჰფიცეს და მეც იმათთან ვიყავ, არ გამოვაკლდი ამხანაგთ კრებას... გწამდეთ, გჯეროდეთ, ბატონო ჩემო, რომ თუმცა ჩვენში ყველამ შეჰფიცა, თვალზედ-კი ცრემლის ლული სდიოდათ, ულონდებოდათ სულიც, გულიც.

არა მგონია იმ ღამეს ვისმე ჩვენ შორის ძილი მიჰკარებოდა... მე ხომ იმ ამბით მთლად შეწუხებულს თავს ბრუ დამეხა, გულს მეყრებოდა.

მოვხუცდი მეტად ჭ მოვუძლურდი, კისრადაც მაწევს ოჯახის ვალი... ქალი მომიკვდა, ჩემი სიძე-კი გადაიკარგა სადღაც ცოცხალი.

შინ რომ დავბრუნდი, მათი ობოლი წინ მომეგება ორივ ერთადა და მათს შემყურეს ჩემის ფიცისა მევე შემრცხვა და მევე დამნანდა.

გულს გამიელვა,—კარს იქით-მეთქი შიმშილი გელით და მწუხარება, გაპირვება და ათასი ვაი, ვაგლახი, ცრემლი და მდუღარება.

მაგრამ ეჰ, რა ვქნათ, თუ-კი სხვა ითმენს, ჩვენც მოვითმინოთ, რაც მოგვიდეს... ძნელად, ბატონო, რომ მუშა-კაცმა აღთქმის უმტყუნოს, ფიცს გადავიდეს. ამ დროს დაბრუნდა ჩემი მეუღლეც სარეცხის ტვირთ ქვეშ ორად მოხრილი;

ვუთხარი ყველა, არ დავუფარე ამბავი მწარე და არა-ტკბილი.

არ გამწყრომია, ჩაჰკიდა თავი, დიდხანს დასცქირა მიწას უძრავად ჭ ბოლოს მითხრა: „ხომ იცი, გროშიც არა გვაქვს ხელის მოსანაცვლავად...

„მე კვლავინდებურ ვიშრომებ კიდევ, თუმცა ცხოვრება მეტად ძნელია; ავად თუ კარგად, ერთს კვირას გვამარის, პური არა გვაქვს სასყიდელია“...

მერე-კი ღმერთიც დაგვეხმარება და შეგვიწყვა-მეთქი, ვუთხარი, თუმც გული გულის ალაგს არ მჭონდა, ჰკვნესდა, ჰღელავდა იგი მწუხარი.

კარგად ვიცოდი, რომ ჩვენს ნაღველს ერთი გზა ჰქონდა, ერთი წამალი, და ეს გზა იყო მოძმეთ ღალატი, თავის მოჭრა და სირცხვილის ალი.

მოგვადგა კიდეც კარს გასაჭირი... ღმერთს გეფიცებით, ჩემო ბატონო, გწამდეთ, ბატონო ჩემო, რომ ორივ-ერ ერთად ... ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

გასაკეთებელი მასალა ხელით გადაა-ქვთ, რადგანაც ცხენი ფეხს ვერ იკიდებს. კავკასიის გზათა ოლქის გამგეობამ კავკასიის მთავარმართებელს სთხოვა, რათა მან უბრძანოს პოლიციას მუშების მიშველება. ტფილისის მაზრიდგან გამოწვეულია ორასი კაცი და თერგის ხეობიდგან-კი ას ორმოც-და-ათი. გზის გაკეთება იმატომ გვიანდება, რომ ბეჭრს ალაგას კლდეებია გასაპრელი. ალაგირის და მამისონის შუაშიკ გზა გაფუტებული აღმოჩნდა მე-17 და მე-50 ვერსის შუა ექვსის ვერსის მანძილზე. ნარდანის და ლაძაგანდანის ხიდის ბურჯები ნიაღვარს მოუტაცნია.

გუშინ, ამ თვის 5, დეკაშა მოვიდა ყაზბეგიდამ, რომ ინეენერი გურჩინი ბალთიდგან ფეხით წასულა ყაზბეგში. გზა თუმცა ძლიერ საშინაა, მაგრამ ზოგიერთნი მაინც ჰბედვენ გადასვლას. მდინარე ჩხერთან დიდი ძალი ქვა მოუტანია და გზის ალაგას ეხლა საშინელი ხევია, სადაც მოჩუხჩუხებს მთის წყლები. დეკდორაკის ყინული ესეა გადმოქანებული, რომ ხეობაში ჩამოვარდნის შიში აქვთ. მდინარე „აღგილიშკამ“ კიდევ იმატა. ტელეგრაფი ჯერ არ გაუკეთებიათ.

*** სომხურს გაზეთს „მშაკში“ შემდეგი სწერია: „Московскія Вѣдомости“ საშინლად გამწყარალა იმის გამო, რომ გრიგოლ იზმირო

ლაშქარი იყო ჩაყენებული მიჯნების დასაც

ნ. ალ. გრიგოლიან—2 მ., ნესტორ იესესს ძე პეტრიაშვილი—5 მ., კნეინა მაკაშვილისა—6 მ., დეკანოზი გრიგოლ ღამბაროვი—10 მ., მღვდელი სიმონ ლიანე—3 მ., დეკონტი ზ̌ოდაშვილი 5 მ., სიკო კასირაძე—3 მ., უნტობისაგან—5 მ., მღვდელი ისაკ იორდანოვი 2 მ., ნიკო სიმონის ძე ლორთქიფანიძე—2 მ., მღვდელი-დეკ ბაჭრაძე—2 მ., მანდარა ჟეკოვ-სკისი (სოფელი)—1 მ., ნიკო სასუტაშვილი—1 მ., უნტობებისაგან—2 მ.

ნესტორ ალმასხანის ძე გრიგოლია

ᲓᲔᲞᲔᲨᲐ

3 აგვისტო.

ᲣᲠᲐᲚᲡᲙᲘ. 31 ივლისს, ურალის ყაზახთა ჯარის 300 წლის იუბილეის დღეს, ძველს სამხედრო ტაძარში წირვა იყო, რომელსაც მემკვიდრე ცესარევიჩი დაესწრო. ტაძრის წინ მოედანზე ჯარი იდგა. უფროსმა ატამანმა მისის უმაღლესობის მიერ გარდაცემული უმაღლესი სიგელი წაიკითხა. ახლად ბოძებული დროშები უმაღლესად ბოძებულს მოძრავს სამხედრო ტაძარში აკურთხეს. დროშების კურთხევას შემდეგ დიდის ამბით გაემგზავრნენ მემკვიდრე ცესარევიჩი და ხალხი ახალის ქრისტე მაცხოვრის ტაძრის საძირკვლის საკურთხევლად, რომელსაც იუბილეის სახსოვრად აშენებენ. ნაშუადღევის 3 საათზე გიორგის ჭალაში, მდ. ურალის პირად, ფარდულში სადილი გაიმართა, რომელზედაც მიწვეულნი იყვნენ გენერლები, შტაბი და ობერ-ოფიცრები, მოხელენი და მოსულნი სტუმარნი; სოფლის წარმომადგენელნი და ყველა ჯარის კაცნი ფარდულის წინ მინდორზე სადილობდნენ. სადილის წინ მემკვიდრე ცესარევიჩის თანდასწრებით სამაგალითო თევზის ჭერა გაიმართა მდინარე ურალზე. იქვე ტყეში გაიმართა საერო დღესასწაული. ჭალიდგან მემკვიდრე ცესარევიჩი წარბძანდა ურალის ოლქის გამოფენის დასათვალიერებლად და შემდეგ-კი უფროსს ატამანთან, აგარს, სასადილოდ.

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ. გუშინ მრავალს ქალაქში გამართეს რუსეთის პატივსაცემლად მანიფესტაციები.

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ. ოპოზიციის გაზეთები სწერენ, შავის პურის საზღვარ გარედ გატანის აღკრძალვის გამო საქმე ძლიერ გამწვავდაო. კონსერვატორების გაზეთები სცდილობენ ხალხი დაამშვიდონ, მაგრამ ხალხი თანდათან უფრო და უფრო თხოულობს, ან სრულიად მოსპეთ, ან დროებით გადაიგდეთ პურზე გადასახადი. მთავრობის წრეში ლაპარაკობენ, ჭინახულზე გადასახადის მოსპობა არ მოხდება და ამის მიზეზი ის არის, რომ ამ ჟამად მოლაპარაკებაა გამართული ახალის სავაჭრო ხელშეკრულობის თაობაზეო.

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ. დღეს საშინლად აიწია ბერლინში ჭინახულის ფასმა—შავს პურზე მოემატა 10 მარკა, პურზე 10 მარკა და შერიაზე $4^1/_2$ მარკა.

ᲝᲓᲔᲡᲐ. გუშინ საღამოს გარდაიცვალა 97 წლის გენერალი-ადიუტანტი გრაფი ალექსანდრე გრიგოლის ძე სტროგანოვი.

4 აგვისტო.

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ. სატარიფო კომიტეტმა გარდასწყვიტა რომ: 1) იმ გვარ ხარისხის ჭინახულზე, რომელიც ჰ. ᲗᲐ. Ა. და ბ. კატეგორიას ეკუთვნის, შიგ რუსეთშივე რკინის გზის ვაგონებით გადატან-გადმოტანის დროს გარდასახადი უნდა იანგარიშებოდეს ᲧᲣᲐᲗ მიღებულის სქემით $50^0/_0$ დაკლებით, ხოლო ისე-კი, რომ ერთის ფუთისა ვერსზე $^1/_{100}$ ნაკლები გარდასახადი არ გამოვიდეს; 2) ეიუშამდგომლოთ, რომ 7 აგვისტოდგან იქმნას შემოღებული ტარიფიო. ტარიფის მოსპობის ვადა ერთის თვით ადრე იქნება გამოცხადებული.

„Новое Время“-ს გაუგონია, გადათვალიერება დაიწყეს ᲯᲐᲨᲣᲨᲝᲑის შესახებ დაკანონებათაო.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ. რკინის გზის სადგურზე მემკვიდრე ცესარევიჩის მისაგებებლად შეიკრიბნენ ყველა წარჩინებულნი სამხედრო და სამოქალაქო უწყებისანი, სხვა-და-სხვა დაწესებულებათა წარმომადგენელნი ᲥᲔᲚᲜი. მატარებელი მოვიდა ნაშუადღევის $1^1/_2$ საათზე. თავად-აზნაურთა წინამძღოლმა წმ. ნიკოლოზ სასწაულთ მომქმედნის ხატი მიართვა და მოახსენა: „უსაზღვრო სიყვარული და ერთგულება რუსეთის თავად-აზნაურთა სამეფო სახლეულობისადმი და ამიტომ იმ გვარადვე უსაზღვრო სიხარული მოსკოვის თავად-აზნაურთა, ულოცავენ რა თქვენს იმპერატორებით უმაღლესობას შორისა და ხანგრძლივის მოგზაურობიდგან მშვიდობით დაბრუნებას. ნება გვიბოძეთ, თქვენო უმაღლესობავ, თანაგრძნობა გამოგიცხადოთ თავად-აზნაურთა სახელით და მოგართვათ ხატი წმ. ნიკოლოზ სასწაულ მომქმედისა“. ქალაქის თავმა მიართვა პურ-მარილი და მოახსენა: აი აგვისრულა გულითადი ჩვენი წადილი და გიხილეთ, თქვენო უმაღლესობავ, შუაგულს რუსეთს, პირველ ტახტოვანს ქალაქს მოსკოვში. უფალი იყოს თქვენი მფარველი ამირეიდგანაც სასიხარულოდ თქვენს უავგუსტოესის შმობლებისა და საბუღნიეროდ ვრცელის რუსეთისა“. მემკვიროე ცესარევიჩმა ილოცა ივერიის ღვთის შობლის ეკკლესიასა და კრემლის ტაძრებში. წაბრძანდა აგრეთვე სალოცავად სამების სერგის სავანეში და საღამოს გაემგზავრა პეტერბურგს. ხალხი აღტაცებულის ჟრიამულით ეგებებოდა მემკვიდრე ცესარევიჩს.

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘᲡ ᲑᲘᲠᲟᲐ, 2 აგვისტო.

	ᲛᲐᲜᲐᲗᲘᲡ ᲤᲐᲡᲘᲡ.	ᲒᲐᲛᲝᲜᲐᲗᲘᲡ ᲤᲐᲡᲘᲡ.	ᲒᲐᲛᲝᲜᲐᲗᲘᲡ ᲤᲐᲡᲘᲡ.
	მან.	კ.	მან.	კ.	მან.	კ.
ᲮᲣᲗ-ᲛᲐᲜᲐᲗᲘᲜᲘᲗ ᲝᲠᲘᲠᲐ .	7,	41	7,	68	—	,,
ᲭᲐᲛᲝᲜᲘᲡ ᲙᲣᲞᲝᲜᲘᲡᲐ .	152		153		—	,,
ᲛᲐᲜᲔᲣᲚᲘᲜᲘᲡ ᲕᲘᲠᲪᲮᲚᲘᲡ ᲤᲣᲤᲐᲚᲘ	1,	11	—	,,	—	,,
5% ᲞᲘᲠᲜᲘᲡ ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜᲘᲡ ᲡᲘᲡᲮᲘᲡ ᲛᲝᲛᲓᲒᲐᲛᲘ ᲑᲘᲚᲔᲗᲘ	239		—	,,	—	,,
—ᲛᲔᲠᲜᲘᲡ	228	3/4	—	,,	—	,,
—ᲛᲔᲡᲘᲡᲘᲡ	—	,,	—	,,	—	,,
ᲮᲐᲮᲕᲚᲔᲗᲛᲭᲘᲤᲝᲡ ᲗᲐᲕᲐᲓ-ᲐᲖᲜᲐᲣᲠᲗᲐᲜᲘᲡ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲤᲣᲠᲪᲚᲘᲡ	213		—	,,	211	1/4
ᲒᲘᲠᲕᲜᲘᲜᲘᲡ ᲤᲣᲠᲪᲚᲘᲡ ᲭᲘᲤᲝᲚᲘᲡᲘᲡ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ .	—	,,	—	,,	—	,,
ᲙᲣᲞᲐᲜᲘᲡᲘᲡ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ . .	—	,,	—	,,	—	,,
ᲭᲘᲤᲝᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲣᲠᲗᲐᲠᲘᲔᲠᲝᲗᲐ ᲜᲓᲒᲛᲘᲡ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ	—	,,	—	,,	—	,,

ᲛᲘᲛᲝᲬᲕᲚᲐ ᲪᲔᲪᲮᲚᲘᲡ ᲒᲔᲛᲔᲒᲘᲡᲐ ᲨᲐᲕᲡ ᲖᲦᲕᲐᲖᲔ

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით, ნაშუადღევის 4 სასთზე მოკლე გზით და ნოეორაციისეს და კურჩში შეიკლის.

შაბათობით საღამოს 8 სასთზე შორის გზით (ᲣᲕᲚᲔᲚ ᲜᲐᲮᲣᲗ-ᲡᲐᲓᲒᲣᲠᲨᲘ შეიკლის).

კვირაობით, საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამეს, შორის გზით.

პარასკეობით, დილით-ოდესიდამ მოკლეს გზით (კურჩსს და ნოეორასიაზე შეიკლის).

შაბათობით, დილით, სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის სამშაბათობით—ამის შემდეგ, როცა სოხუმიდან მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 სასთზე დამასწრობს მოკლეს გზით მოსაარულე კავკასიასა და ყირიმის გემსა.

შაბათობით, დილის 9 სასთზე, და მასწრობს შორის გზით მოსაარულე კავკასია-�zრიმისა და რუმეთა ანატოლიასკენ წამსკლელ გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკეობითა და კვირაობით. რაკი გემი მოკა ფოთიდამ, ბათუმის სასაგენტო კავკასიერეტს ხელზე, როდის წავა უკან.

ამის გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდის ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნაკა-სდგურებიდან კავკეუკეტელს კავკაზე გემები.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

გამოვიდა და ისყიდება „წერაკითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში და თვითონ ავტორთან ფოთში

ᲡᲘᲛᲠᲗᲔᲚᲘᲡ ᲙᲘᲓᲝᲒᲐᲜᲘ

(კარამანი)

ოჯახში სახმარებლად

შედგენილი ილია ვასილის ძის სოლაქელიძის მიერ.

ფასი ერთი მანათი.

(5—104—1)

ქ. სიღნაღში ახლად გაიმართა

ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐ

ალექსანდრე მაჭავარიანისა და ამხანაგობისა

იქვე იღებენ ყდის კეთების საქმეს ჯეგა მოსეიანშვილის სახლებში.

ისყიდება აგრეთვე კანცელარიის ხელსაწყო.

(19—77—18)

გამოვიდა და ისყიდება „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

ᲡᲐᲣᲜᲯᲔ

ᲛᲐᲗᲔᲗ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡᲐ

წერილი

მოსე ჯანიშვილისა

ოთხმეტ ეპისკოპოსის სურათითა და მეათე საუკუნის საგალობო ნიშნების ნიმუშებით.

ᲤᲐᲡᲘ ᲔᲠᲗᲘ ᲐᲑᲐᲖᲘ

(10—0—7)

ᲘᲒᲔᲭᲓᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲬᲕᲐ ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲚᲔᲕᲘᲗ

ᲕᲐᲚᲔᲠᲘᲐᲜ ᲒᲣᲜᲘᲐᲡ-ᲛᲘᲔᲠ

ᲨᲔᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚᲘ

1892 ᲬᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲐᲚᲔᲜᲓᲐᲠᲘ (დასურათებული მრავალის სურათებით) ფასი ორი აბაზი

ᲣᲒᲘᲡ ᲬᲘᲒᲜᲘ 1892 ᲬᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ (მშვენიერის ყდით და ყარანდაშით) ფასი ორი აბაზი

ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲙᲐᲚᲔᲜᲓᲐᲠᲘ (ყოველნაირის საჭირო ცნობებით მდაბიო ხალხისათვის) ფასი ორი შაური

„საქართველოს კალენდარში“ ფიტულობენ დასაბეჭდად ყოველ გვარს განცხადებას. ფასი წიგნის ბოლოში-გვერდი—5 მ. ნახევარ გვერდი—3 მ., მეოთხედი გვერდი—2 მან. წიგნის დასაწყისში გვერდი—12 მ. ნახევარ გვერდი 7 მან.

ვინც კალენდრისათვის მასალის გამოგზავნას ინებებს, შეუძლიან, მიჰმართოს ვალერიან გუნიას ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკში, მანსეტოვის სტამბას, ანუ წერა-კითხვის წიგნის მაღაზიას.

(5—0—2)

წინამძღვარიანთ კარის სასოფლო მეურნეობის სკოლაში

მიღებული იქნება ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲘ ყმაწვილები, არა ნაკლებ ათის წლისა, ყველა წოდებისა, ეროვნებისა და სარწმუნოებისა ამა 1891 წ. 1-ᲔᲡ ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲠᲘᲓᲐᲛ 5-ᲛᲓᲔ (მსურველთ უფრო ადრეც შეუძლიათ შემოიტანონ თხოვნა).

ვისაც სურვილი აქვს, სკოლაში ყმაწვილი მიბაროს, იმან უნდა პირად ანუ წერილით განუცხადოს თავისი სურვილი სკოლის მზრუნველს **ᲘᲚᲘᲐ** ᲔᲠᲘᲡᲫᲔ ᲫᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲛᲫᲦᲕᲐᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ (ᲛᲝᲛᲠᲘᲒᲔᲑᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡ) ქ. ტფილისში, ანუ სკოლის ზედამხედველს თავ. კრშაღუ კაციას ძეს ნაკაშიძეს სოფ. წინამძღვარიანთ კარში, წარმოადგინოს ყმაწვილის წლოვანების მოწმობა, სინოდის კანტორიდამ მიღებული, ან მღვდლისაგან მიცემული აღმოწერილობა წლოვანების წიგნიდამ და იმ სკოლის მოწმობა, სადაც ბავშვს უწინ უსწავლია. გამოცდა ყმაწვილებისა მოსამზადებელ კლასის პირველს განყოფილებაში არ იქნება, მხოლოდ ვინც მოსამზადებელ კლასის დანარჩენს განყოფილებაში შესვლას მოინდომებს, იმას უნდა ჰქონდეს შესაფერი მომზადება და სწავლა.

სასწავლო სკოლის კურს შეადგენენ: 1) საღმრთო წერილი, 2) ქართული და რუსული ენები, 3) არითმეტიკა და პრაქტიკული გეომეტრია, 4) სამშობლოს შესწავლა, მოკლე გეოგრაფია რუსეთისა და ევროპის სახელმწიფოებისა და საზოგადო მიმოხილვა ქვეყნებისა, 5) ბუნების მეცნიერება, 6) სამეურნეო საგნები: მიწის შემუშავება, მებაღობა, მებოსტნობა, ვაზის მოვლა-მოშენება, ღვინის დაყენება, საქონლისა და აბრეშუმის ჭიის მოვლა-მოშენება, მეფუტკრობა და სასოფლო მეურნეობის ანგარიშის ცოდნა, 7) ხატვა, 8) საეკლესიო და საერო გალობა, 9) სწავლა ხელოსნობისა: დურგლობისა, მჭედლობისა და წიგნების კაზმისა.

სკოლაში ყმაწვილები უსასყიდლოდ მიიღებენ სწავლას და ყველა სასწავლო ნივთებს, მხოლოდ დედ-მამამ, ანუ იმათმა მოადგილემ, უნდა ყმაწვილს სოფელში ბინა უშოვოს, ჩააცვას და დახუროს.

სკოლაში მიიღებენ ისეთი მოზრდილი ყმაწვილებიც, რომელთაც სწავლა სხვა სასწავლებელში გაუთავებიათ და სურვილი აქვთ, სასოფლო მეურნეობა შეისწავლონ და ფერმაში ივარჯიშონ.

შორ მხიდამ მოყვანილ ყმაწვილებისათვის სოფ. წინამძღვარიანთ-კარში გამართულია სკოლის ხარჯით 30 შეგირდისათვის სადგური. ყველა საქმეს ამ სადგურისას თვით სკოლის პედაგოგიური კრება განაგებს. თითო შეგირდის შესანახავად დანიშნულია ᲯᲘᲠ-ᲯᲘᲠᲝᲑᲘᲗ თთვეში შვიდი მანეთი (ფულის მაგიერ შეუძლიან მშობლებმა შემოიტანონ ხორაგეული) შემდეგში სკოლის მმართველობა ეცდება, ეს ფასი შეამციროს. ყმაწვილს ღილა-საღამოს მიეცემა სტაქანი ჩაი, ანუ რძე პურით, შუადღისას საუზმე და სწვიერის შემდეგ სადილი თითო კერძი: ხსნილში სახსნილო და მარხვაში სამარხვო. კვირაში ერთხელ საცვალი გამოეცვლებათ.

ვისაც ჰსურს, მიაბაროს ყმაწვილი სკოლის სადგურში, იმან უნდა წარმოადგინოს: ნსნეკარ წლის შესანახი ფული 42 მანეთი პირველს სექტემბერს და მეორე ნაწილი, 42 მანეთი, პირველ იანვრამდე. ვინც ამ ვადაზე ფულს არ შემოიტანს, მაშინ შეგირდი დათხოვნილი იქნება სადგურიდგან და გაგზავნება თავისს მშობლებთან. ამისთვის მშობლებმა, მანამ შვილს მიაბარებენ სასწავლებელში, წინად უნდა სკოლაში შემოიტანონ ყმაწვილის გასაგზავნად ერთი თუმანი.

ყმაწვილს უნდა ჰქონდეს კრაოტი (შეუძლიან შემოიტანოს სამი მანათი კრაოტის სასყიდლად), ქვეშაგები, სამი ხელი საცვალი და სამი ხელი სკოლისათვის დაწესებული ტანთსაცმელი: ერთი საზამთრო და ორი საზაფხულო. უკეთუ ყმაწვილი სადგურიდამ მეორედ ფულის შემოტანის ვადამდე გავა, იმას შემოტანილი ფული უკან არ დაუბრუნდება და დარჩება სადგურის სასარგებლოდ.

ფული და ყოველგვარი წერილები გამოიგზავნება შემდეგის ადრესით: **Станція Мцхетъ, смотрителю Цинамзгваріантъ-карской сельско-хозяйственной школы кн. Ер. К. Накашидзе.**

(5—0—5)

Дозв. ценз. Тифлисъ, 5-го Августа 1891 г. სტამბა მ. შარაძისა, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკაიას სახლებში № 21 რედაქტორ-გამომცემელი ᲘᲚᲘᲐ ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲔ